ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №59

19 დეკემბერი 2023 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

სატრანსპორტო საკითხთა და ეკონომიკური განვითარების, სარეკვიზიო და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისებთან გაერთიანებული.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე,ანა გოგოლაძე,საბა ბუაძე,აკაკი ალადაშვილი,მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე. ლევან მიქავა.
სსიპ ქონების მართვის სააგენტო- მარიამ კვერნაძე
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე
საკრ. №12-032334971-03 15/12/2023წ
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". **საკრ. №12-03232671-03 20/09/2023წ**
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ. **საკრ. №12-032334972-03 15/12/2023წ**
4. ,,ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე". **საკრ. №12-032334891-03 14/12/2023წ**
5. ,,ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N7-ში, (საკადასტრო კოდი: N81.08.14.370.01.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**საკრ. №12-03233492-03 15/12/2023წ**
6. ,,ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N21-ში, (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.004.01.075) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"**საკრ. №12-032334891-03 14/12/2023წ**
7. ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, კორპუსი N8-ში არსებული 33.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.003.009.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ. №12-032334891-03 14/12/2023წ**
8. ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 84.28 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.022.003.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ. №12-032334891-03 14/12/2023წ**

9. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.026.024) 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანნა აიწურაძისთვის (პ/ნ: 01008026120) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ. №12-032334175-03 8/12/2023წ**

10. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ: 01010000361) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ. №12-03233321-03 28/11/2023წ**

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებითა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2023 წლის 29 სექტემბერს „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფითალის“ (ს/ნ: 405447903) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე
საკრ. №12-03233493-03 158/12/2023წ

12. ქალაქ თბილისში, წინანდლის შესახვევის N11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.130.104) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრისთვის“ (ს/ნ: 405247950) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ. №12-032334175-03 8/12/2023წ**

13. ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N36-ის მიმდებარედ არსებული ორი ერთეული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: N01.10.14.012.207; N01.10.14.012.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ერთი ყავასთვის“ (ს/ნ: 435894212) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ. №12-032334890-03 8/12/2023წ**

14. ,,ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.406) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ. №12-032332838-03 27/11/2023წ**

15. ,,ქალაქ თბილისში, მუხიანის მე-4ბ მიკრორაიონის კორპუს N40-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.008.007.01.500ბ) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ. №12-032332838-03 27/11/2023წ**

16. ,,ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩის მე-4 შესახვევის N5-ში, (საკადასტრო კოდი: N81.08.21.463.01.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ. №12-032332838-03 27/11/2023წ**

17. ,,ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.12.011.006.01.5016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ. №12-032332838-03 27/11/2023წ**

18. ,,ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ. №12-032332838-03 27/11/2023წ**

19. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N24-ში მდებარე 194.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ. №12-032334178-03 8/12/2023წ**

20. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე
საკრ. №12-032334173-03 8/12/2023წ

21. ,,ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრორაიონის, კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ. №12-032334176-03 8/12/2023წ**

22. ,,ქალაქ თბილისში, გორკის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.036.038.01.003, N01.16.06.036.038.01.004 და N01.16.06.036.038.01.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ. №12-032334176-03 8/12/2023წ**

23. ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩის ბოლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6111 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.206) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ. №12-032334176-03 8/12/2023წ**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა დარჩება უცვლელი და შეადგენს 1 826 328,8 ათას ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: **იზრდება** გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) ქვეპროგრამის ასიგნებები – 20,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 30,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 29 962,1 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) პროგრამის ასიგნებები - 6 442,7 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 40,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 322,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 12,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 1,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 67,9 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 180,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) - 128,7 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 50,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) პროგრამის ასიგნებები - 600,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 21) - 300,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 13 497,9 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 13) – 300,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 3 946,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 6 608,9 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 290,3 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 1 388,6 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 196,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის 2 ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 298,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 40,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 20,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 804,2 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 2 100,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 200,0 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 10,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები - 205,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 67,9 ათასი ლარით,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 19,4 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 118,2 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 180,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 22,5 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 18,5 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 182,3 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) - 159,9 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) - 2,8 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 39,1 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 605,5 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნებები - 1 359,1 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) - 113,5 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 12,0 ათასი ლარით. ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 688 534,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 628 434,6 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 884 569,6 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 208 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 26 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 634 569,6 ათასი ლარი. გრანტები 456 112,8 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 557,8 ათასი ლარი; 3 - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 15 000,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 287 752,2 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 20 743,9 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 111 747,7 ათასი ლარი; - მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 3 700,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 18 095,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 8 465,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 826 328,8 ათასი ლარით, მათ შორის: ⎫ ხარჯები განსაზღვრულია - 1 384 362,7 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების ზრდა – 413 452,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 28 513,4 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 244 071,9 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 353 452,8 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 413 452,8 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 60 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (137 894,2) ათას ლარს, მათ შორის: – ფინანსური აქტივების კლება – 137 894,2 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 137 794,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (28 513,4) ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 28 513,4 ათასი ლარი.

მომხრე-7 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა მარიამ კვერნაძემ.

მოისმინეს:„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებაში შედის ცვლილებები. კერძოდ, იცვლება მომსახურების საფასურები.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგადად, ბაზარზე შეიცვალა მომსახურების ფასები და მოიმატა მომსახურების ღირებულებამ. შესაბამისად, გაიზარდა სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულებები. ზემოაღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია ბაზარზე ფასების ცვალებადობით.

გარდა ამისა, ცვლილება შედის ზემოაღნიშნული დადგენილების მე - 13 მუხლში და განისაზღვრება, რომ იმ შემთხვევაში თუკი არსებობს აუქციონის მონაწილე ერთი პირი მაინც, სააუქციონო ლოტის მესაკუთრე იხდის მომსახურების ღირებულებას.

არსებული რეგულაციით მომსახურების გადახდა ხდება მხოლოდ ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში, თუმცა რადგან სააგენტოს, როგორც აუქციონატორს, მომსახურება გაწეული აქვს და ორგანიზებული აქვს სააუქციონო პროცესი, მართებული და მიზანშეწონილია, რომ მომსახურების გაწევის შემთხვევაში, ღირებულების გადახდა არ იყოს კავშირში ნივთის რეალიზებასთან. ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა 2024 წლის პირველი იანვრიდან.

მომხრე-8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ.
მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 06 დეკემბრის №35 სხდომის ოქმის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოში სტრუქტურის განახლების და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის" გადასაცემად, საჭიროდ იქნა მიჩნეული აღნიშნულ სსიპ-ებში რეორგანიზაციის პროცესის დაწყება.
ამავე ოქმის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" დაევალათ საქმისწარმოების ფუნქციების „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის" გადაცემის მიზნით რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.
მომხრე-8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ, საბა ბუაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.535) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".
მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში, მეხუთე სართულზე არსებული 42.49 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.535) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ავთანდილ მოსეშვილს (პ/ნ 01030005100).
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ავთანდილ მოსეშვილი ოჯახთან ერთად დაახლოებით 18 წელია(1996 წლიდან) ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N7-ში, (საკადასტრო კოდი: N81.08.14.370.01.003) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, ნაძვების ქუჩა N7-ში, მეორე სართულზე არსებული 79.70 კვ.მ ფართის ბინა N3-ი (საკადასტრო კოდი: N81.08.14.370.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ინგა ლეფსვერიძეს (პ/ნ 12001087018).
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, დგინდება, რომ ინგა ლეფსვერიძე ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1962 წლიდან.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N21-ში, (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.004.01.075) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N21-ში, არსებული 32.00 კვ.მ ფართის ბინა N75-ი (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.004.01.075) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ცირა აფციაურს (პ/ნ 01007012441) შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ ცირა აფციაური დაახლოებით 20 წელია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ცირა აფციაური მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან.
მოქალაქეს მითითებული ბინა მიღებული აქვს სარგებლობაში, როგორც 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებული პირს.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, კორპუსი N8-ში არსებული 33.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.003.009.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა, კორპუსი N8, სართული 1-ზე არსებული 33.26 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.10.003.009.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინელი ჯაბახიძეს (პ/ნ: 01036005329).
შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ მოქალაქე ნინელი ჯაბახიძე შვილთან ერთად, დაახლოებით 24-25 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 84.28 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.022.003.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. N18-ის მიმდებარედ, 1 სართულზე არსებული 84.28 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.16.022.003.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა შორენა სილაგაძეს (პ/ნ: 29001010014).
შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე შორენა სილაგაძე 2001 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.026.024) 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ანნა აიწურაძისთვის (პ/ნ: 01008026120) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ანნა აიწურაძეს (ს/კ: 01008026120) გადაეცემა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.026.024) 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლით. ანნა აიწურაძე საკუთრების უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N35-ში მდებარე ფართს (ს/კ: N01.16.05.026.013.01.500).

დაინტერესებაში არსებულ 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცის მიღმა.

მოთხოვნილი 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირის საფასურია - 6240 ლარი.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ: 01010000361) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, იულია იორდანიშვილს (პ/ნ: 01010000361), სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, მის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N26-ში მდებარე N01.16.05.025.003.01.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად, საკითხი განიხილა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად სამსახური წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო /საქვეითო სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.

წარმოდგენილი პროექტით, განიხილება იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ: 01010000361) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 3 840 ლარით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების

ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ხელშეკრულებითა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2023 წლის 29 სექტემბერს „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფითალის“ (ს/ნ: 405447903) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 ივნისის N22.991.1073 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N325 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიის - სს „გრინ ქეფითალისთვის“ (ს/ნ: 405447903) - ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.
ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები. მიწის ნაკვეთებზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმა უნდა დამტკიცებულიყო არაუგვიანეს 2022 წლის 21 სექტემბრისა, თუმცა განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 3 მაისის N23.622.714 და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N205 და N206 განკარგულებებით. შესაბამისად, კომპანიის მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მითითებული ვადები.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 ივნისის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 9 ივნისის განკარგულებების საფუძველზე, კომპანიას ეპატია პირგასამტეხლო **დაახლოებით 516 000 ლარის ოდენობით,** გრგ-ს დამტკიცების ვადის 8 თვის დაგვიანებით გამო. ამასთან, ამავე განკარგულებების საფუძველზე სააგენტოსა და კომპანიას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც შეიცვალა ხელშეკრულების 3.4 და 3.5 პუნქტებით გათვალისწინმებული ვადებიც.
მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა - არაუგვიანეს გრგ-ს დამტკიცებიდან 3 თვე, ამოიწურა 2023 წლის 19 აგვისტოს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 აგვისტოს № 6630569 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, შესაბამისად კომპანიის მიერ მშენებლობის ნებართვა აღებულ იქნა ოთხი დღის დაგვიანებით (19 აგვისტოს ნაცვლად 24 აგვისტოს), რის გამოც კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო, საბანკო გარანტიის: 2 000 000 ლარის 0,1% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების 6.1.3 პუნქტის შესაბამისად, რაც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 8000 ლარს.
გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებული იყო ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ფართობების მქონე ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაცია და ქონების მიმღები პირებისთვის საჯარო რეესტრში შესაბამისი ქონების მიმღები პირის საკუთრების უფლების რეგისტრაცია განახორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში. აღნიშნული რეგისტრაცია დასრულდა 2023 წლის 13 დეკემბერს. შესაბამისად, კომპანიის მიერ, კოოპერატივის წევრების/მუნიციპალიტეტისთვის გადამოცასემ ფართებზე განშლის რეგისტრაცია განხორციელდა 49 დღის დაგვიანებით *(24 ოქტომბრის ნაცვლად 13 დეკემბერს)* , რისთვისაც კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო, საბანკო გარანტიის: 2 000 000 ლარის 0,1% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების 6.1.3 პუნქტის შესაბამისად, რაც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 98 000 ლარს.
ამასთანავე, გრგ-ს ფარგლებში, კ2 საანგარიშო ფართობის დაზუსტების შემდეგ, 2023 წელს, კომპანისა და სააგენტოს შორის, 2023 წლის 29 სექტემბერს, გაფორმდა „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება“, ამავე პროექტის ფარგლებში, დამატებით 2219.4 კვ.მ ფართის, სააგენტოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება გადმოსაცემ ფართებზე უნდა დარეგისტრირებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან

არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, თუმცა მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი დამატებითი ფართების განშლის რეგისტრაცია განხორციელდა 28 დღის დაგვიანებით *(30 ოქტომბრის ნაცვლად 28 ნოემბერს)*, რისთვისაც კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 100 (ასი) ლარის ოდენობით, *(2023 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულების 3.3 პუნქტი)* რაც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 2800 ლარს.
მაშასადამე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიას ჯამურად ეკისრება პირგასამტეხლო დაახლოებით 108 800 ლარის ოდენობით.
კომპანიამ, 2023 წლის 11 დეკემბერს, სააგენტოში წარმოადგინდა განცხადება, რომლითაც განმარტა, რომ კომპანიის მიერ აღნიშნული ვალდებულებების ვადის დარღვევა გამოიწვია ობიექტურმა მიზეზებმა, კერძოდ: კომპანიის განმარტებით, მშენებლობის ნებართვის 4 დღის დაგვიანებით მოპოვება გამოწვეულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოებისგან პასუხების დაგვიანებით. გარდა ამისა, კომპანიის მითითებით განშლის რეგისტრაციის ვადების დარღვევა გამოწვეულ იქნა საჯარო რეესტრის მიერ კომპანიისთვის არასწორად დადგენილი ხარვეზების გამო, კერძოდ, კომპანიას მოსთხოვეს საჯარო აქტის ფორმით დამოწმებული კოოპერატივის წევრებისგან შედგენილი ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის წარდგენაც, მოგვიანებით დადგინდა, რომ კანონის შესაბამისად, არ იყო საჭირო. ამასთან, კომპანიის მიერ განშლის რეგისტრაციის ეტაპზე, სააგენტომ რამდენიმე კოოპერატივის წევრს, მის წინაშე არსებული სახელმწიფო ვალის დაფარულად მიჩნევის გამო, შეუწყვიტა ხელშეკრულება, რომელიც ზოგიერთმა მათგანმა გაასაჩივრა სასამართლოში და სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება. ამ პროცესის აღსრულებისა და განშლის რეგისტრაციის პროცესის შეფერხების თავიდან არიდების მიზნით, სააგენტოსა და საჯარო რეესტრს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რასაც ასევე, რამდენიმე კვირა დასჭირდა.
ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანიამ, სააგენტოს მიმართა ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით.
შესაბამისად, ვინაიდან, მუნიციპალიტეტისთვის კოოპერატიული პროექტის მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანი საკითხია, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ:) N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის“ (ს/ნ: 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებითა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „გრინ ქეფითალს“ (ს/ნ: 405447903) შორის 2023 წლის 29 სექტემბერს „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფითალის“ (ს/ნ: 405447903) გათავისუფლება.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წინანდლის შესახვევის N11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.130.104) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრისთვის“ (ს/ნ: 405247950) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრმა“ წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა ქალაქ თბილისში, წინანდლის შესახვევი N11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.130.104) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მომხსენებლმა აღნიშნა რომ, შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრს“ საკუთრებაში აქვს N01.17.01.130.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება და ესაჭიროებათ მიმდებარედ ქალაქ თბილისში,

წინანდლის შესახვევი N11-ის მიმდებარედ არსებული 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.130.104) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემა აღნიშნული ტერიტორიის მოვლა - პატრონობის მიზნით.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ამ ეტაპზე ცენტრში დასაქმებულია 30 სპეციალისტი და ცენტრი ემსახურება 150 ბენეფიციარს. გარდა თერაპიული მომსახურებისა, ცენტრის ბაზაზე ტარდება ქცევის გამოყენებითი ანალიზის ტრენინგები, მუდმივ რეჟიმში ხდება სტაჟიორების გადამზადება და დასაქმება. ცენტრი თანამშრომლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტრისთან და თავდაცვის სამინისტროისთან. მათ მიერ გააცემული საგარანტიო წერილების საფუძველზე ცენტრის ბენეფიციარებს ეძლევათ საშუალება მათი დაფინანსებით მიიღონ საჭირო სერვისები.

წარმოდგენილი პროეტის თანახმად, N01.17.01.130.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, შპს „თბილისის აუტიზმის ცენტრს" (ს/ნ: N405247950) გადაეცემა პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით , მოვლა-პატრონობის მიზნით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი N36-ის მიმდებარედ არსებული ორი ერთეული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: N01.10.14.012.207; N01.10.14.012.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ერთი ყავასთვის" (ს/ნ: 435894212) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „ერთი ყავას" (ს/ნ: 435894212) სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. N36-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთები (ს/კ: N01.10.14.012.207; N01.10.14.012.048), ღია კაფეს მოსაწყობად, 2026 წლის 13 აპრილამდე ვადით. კომპანია იჯარით ფლობს პეკინის გამზ. N36-ში არსებული ფართს (ს/კ: N01.10.14.012.020.01.025ბ), აღნიშნული ვადით.

მოთხოვნილ მიწის ნაკვეთებზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. პასუხად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილია მათი დადებითი პოზიცია .

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 2 კვ.მ. ფართობის ორი მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 2026 წლის 13 აპრილამდე ვადით, საერთო წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 960 ლარის ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.406) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში, შენობა N1-ში, მე-4 სართულზე არსებული 60.35 კვ.მ ფართის ბინა N406-ი (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012.01.406) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე შორენა თხელიძეს (პ/ნ 59002006943),რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,სანზონა 2-ის'' კრების ოქმით დასტურდება, რომ შორენა თხელიძე შვილებთან ერთად დაახლოებით 18 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, მუხიანის მე-4ბ მიკრორაიონის კორპუს N40-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.008.007.01.500ბ) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მუხიანში, მე-4ბ მიკრორაიონის კორპუს N40-ში, პირველ სართულზე არსებული 159.53 კვ.მ ფართის ბინა N500ბ-ი (საკადასტრო კოდი: N01.11.13.008.007.01.500ბ) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მართიკო გელოვანს (პ/ნ 01003009029),რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მართიკო გელოვანი ოჯახთან ერთად დაახლოებით 17 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:,,ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩის მე-4 შესახვევის N5-ში, (საკადასტრო კოდი: N81.08.21.463.01.012) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორე ქუჩის მე-4 შესახვევის N5-ში, მეოთხე სართულზე არსებული 47.43 კვ.მ ფართის ბინა N12-ი (საკადასტრო კოდი: N81.08.21.463.01.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინა სინიუკოვასთვის (პ/ნ 12001078566) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით, დგინდება, რომ მარინა სანიუკოვა ოჯახთან ერთად 1990 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.12.011.006.01.5016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N44-ში, მე-6 სართულზე არსებული 21.55 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N 01.18.12.011.006.01.5016) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მზია თათიკიშვილს (პ/ნ 01011054255) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მზია თათიკიშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2005 წლიდან.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში, არსებული 64.54 კვ.მ ფართის მანსარდი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე როლანდი ჭანიას (პ/ნ 01027075715), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ როლანდი ჭანია ოჯახთან ერთად დაახლოებით 14-16 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N24-ში მდებარე 194.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N24, მე-2 სართულზე მდებარე 194.17 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.050.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,) საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ამირან ჯამბურიძის (პ/ნ: 27001000961).
შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მოქალაქე ამირან ჯამბურიძე (პ/ნ: 27001000961) 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაშიო გადაეცემა 2 ოჯახს საერთო ჯამში გადაეცემათ - 104.29 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.
შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქეები ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ,,ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მიკრორაიონის, კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.508) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".
მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, მე-7 მ/რ, კორპუსი N7-ში, პირველ სართულზე არსებული 73.01 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.10.005.013.01.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარინა კუჭუხიძეს (პ/ნ 01001051324) , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით და მეზობლების ჩვენებით დგინდება, რომ მარინა კუჭუხიძე ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 1998 წლიდან.
მომხრე-10
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს : ,,ქალაქ თბილისში, გორკის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.036.038.01.003, N01.16.06.036.038.01.004 და N01.16.06.036.038.01.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გორკის ქუჩა N10-ში, პირველ სართულზე არსებული 60.40 კვ.მ ფართის ბინა N3-ი (საკადასტრო კოდი: N01.16.06.036.038.01.003) პირველ სართულზე არსებული 4.10 კვ.მ ფართის ბინა N4-ი (საკადასტრო კოდი: 01.16.06.036.038.01.004) და პირველ სართულზე არსებული 4.80 კვ.მ ფართის ბინა N6-ი (საკადასტრო კოდი: N01.16.06.036.038.01.006) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე პირიმზე ფირცხელიანს (პ/ნ 19001024913) . შსს-ს

ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ პირიმზე ფირცხელიანი ოჯახთან ერთად დაახლოებით 25 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩის ბოლოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6111 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.06.014.206) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შპს „ბიოსფეროს" დირექტორმა განცხადებით მომართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ.თბილისში,ფაღავას ქუჩის დასაწყისში, კომპანიის საკუთრებაში არსებული 1810 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: №01.17.01.010.002) ადგილმონაცვლეობა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა ტერიტორიის გამწვანება, რის შემდეგაც მისი სამშენებლოდ განვითარება შეუძლებელი გახდა.

მომხსენებლმა განმარტა, რომ ისნის რაიონის გამგეობის წერილის თანახმად, №01.17.01.010.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სკვერის მოწყობითი სამუსაოები განახორციელა მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა. მითითებული ტერიტორია წარმოადგენს ავლაბრის მოედნის მიმდებარედ არსებული სკვერის ნაწილს, რაიონის ცენტრალურ სარეკრეაციო ზონას და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სივრცეს.

კომპანიის დირექტორმა მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ ითხოვა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.18.06.014.206 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (6111კვმ) და გამოთქვა მზადყოფნა ფასთა შორის სხვაობის შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის გადახდა.

საკითხთან დაკავშირებით გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა წერილით, მიზანშეწონილად მიიჩნია მიიჩნია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობა.

შესათანხმებლად წარმოდგენილია კრწანისის ქუჩის ბოლოს არსებული 6111 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: №01.18.06.014.206) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხი, შპს „ბიოსფეროს" (ს/ნ 204872405) საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ფაღავას ქუჩის დასაწყისში მდებარე 1810 კვმ (საკ/კოდი: №01.17.01.010.002) მიწის ნაკვეთის, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

საორივატიზებო საფასურია 984 372 ლარი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის ფასთა სხვაობა.

საპრივატიზებო პირობად განისაზღვრება №01.18.06.014.206 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების განხორციელება, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) პარამეტრებით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე.**